დილის 10 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო კავშირის ხაბჭოს სხდომა.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, მ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, მ. ხ. ხოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. პ. რაბოტაგს.

დილის სხდომაზე კამათი გახსნა სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ა. კ. ჩერნიმ.** ჩვენ ყველანი, თქვა მან, ნეშმარტად ეპოქალური მოვლენის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების მოწმენი და მონაწილენი ვართ. ეს დიადი საკანონმდებლო აქტი დაუფიწყარ ფურცლად ჩაწერეს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გმირულ ისტორიაში, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება მთელი საერთაშორისო ცხოვრებისათვის.

ახალი კონსტიტუციის დებულებათა რეალიზაცია უფრო მაღალ დონეზე დააყენებს მთელ ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობას, საშუალებას მისცემს მილიონობით საბჭოთა ადამიანს უფრო აქტიურად ჩაებან სახელმწიფოს მართვაში, მოჰყვება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავება, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სახალხო ხელისუფლების გაღრმავება.

ძირითადი კანონის პროექტის განხილვის პერიოდში, განაცხადა ორატორმა, ხაბაროვსკის მხარის მშრომელები საგანგებოდ აღნიშნავდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის დებულებებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრინციპების შესახებ.

ჩვენ, მოსკოველები, მხურვალედ ვიწონებთ ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტს, ჩვენი სოციალისტიური მშრომელთა სამშობლოსათვის სამაყის გრძნობით მივუჩინია იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორის რეალურ ხორცშესხმად, პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიღწევების ნამდვილ კანსახიერებად, განაცხადა „ზელენოგრადსკაია“ საქმაოთველოს № 111 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა დეპუტატმა **ნ. ა. ზლობინმა,** ოწონებენ რა ახალი კონსტიტუციის პროექტს, დედაქალაქის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სრულ კმაყოფილებას გამოთქვამენ ამის გამო, რომ მასში შეტანილია სპეციალური მუხლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის შესახებ. დედაქალაქის მშრომელთა სახელით მან გულითადი მადლობა უთხრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი.

ალაპარაკა რა საბჭოთა მოქალაქეების რეალურ უფლებებზე, ორატორმა ხაზი გაუსვა: როგორც უნდა გაიჯიანონ სხვადასხვა ბურჟუაზიული ამოლოგეტები და ავაზაკები, ვერ დაკანონებენ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის თითოეული სტრიქონი, სიტყვაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების თითოეული სტრიქონი გამსჭვალულია ჩვენი ძალების გამარჯვების დაუშრეტელი რწმენით, საბჭოთა ხალხის სანუკვარი მისწრაფებებისათვის ზრუნვით, ხაზი გაუსვა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ი. ნ. ხრისტორადნოვმა.**

საბჭოთა ადამიანებმა უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღიქვეს კონსტიტუციის ახალი დებულება. რომელიც საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ჩვენი პარტიის წამყვან როლს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში. მშრომელები ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს.

საბჭოთა მოქალაქეების პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების გარანტია თვით სახელმწიფო, თვით საზოგადოებრივი სისტემაა, განაცხადა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა **ვ. ა. ამბარცუმიანმა.** ამ სისტემის ნორმალური მოქმედება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მოქალაქე, თითოეული კოლექტივი ზუსტად მოიხსნის საზოგადოების წინაშე თავის მოვალეობებს, ამიტომ ახალი კონსტიტუციის პროექტი ადგენს მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების ბუნებრივ ჰარმონიულ ურთიერთკავშირს, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში.

ალაპარაკა რა ჩვენს ქვეყანაში კანონით გარანტირებულ ერების თანასწორუფლებიანობაზე, დეპუტატმა ნიმუშად მოიყვანა სომხეთი. ასიათასობით სომეხი, თქვა მან, ათწლეულების მანძილზე, კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში დაეძებდა ელუმენტარულ ადამიანურ უფლებებს. მაგრამ იქ ადამიანის უფლებებს კი არ უზრუნველყოფენ, მარტოდენ სიტყვიერად აცხადებენ. სომხეთში სრულუფლებიანი მოქალაქეები გახდნენ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავის სამშობლოს დაუბრუნდა ათიათასობით საზღვარგარეთელი სომეხი, რომლებიც საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლებით სარგებლობენ.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. დ. ხუდაიბერდიევმა** ხაზი გაუსვა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი არსებითად ქმნის სამართლებრივ ბაზას, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს სახალხო დეპუტატების საბჭოების, მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა და გაღრმავდეს მათი საქმიანობა, სახავს კიდევ უფრო ვრცელ ასპარეზს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობისათვის.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ძირითადი კანონის პროექტის განხილვისას რესპუბლიკის მშრომელთა ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებიც თვალსაჩინებენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებას, სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას, დაკისრებული საქმისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

დაკისრებული საქმისათვის თითოეული მშრომელის პასუხისმგებლობის ამაღლებას შესახებ ალაპარაკა ბეგრმა დეპუტატმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუჯობესების საფუძველი ყოველთვის იყო და იქნება შემოქმედებითი, კეთილსინდისიერი შრომა. შრომით და მხოლოდ შრომით აშენდება კომუნისტური საზოგადოება. შრომაში ავლენს ადამიანი კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას.

ორენბურგის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ნ. ბალანდინმა,** რომელმაც გამოხატა ეს აზრი, დაწერილებით ალაპარაკა ოლქის მშრომელთა შესანიშნავ მიღწევებზე დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში. მან განაცხადა, რომ გადამწყვეტი ფაზა დაიდგა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უდიდესი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის, როგორიცაა ორენბურგ-სსრ კავშირის დასავლეთის საზღვრის გაზსადენის და კიევმაგისტრალის აზბესტის კომბინატი.

ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ ქვეყანაში შექმნა ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო, როგორიც ყველგან იმდენად ახალი თაობისობეს, ახალი ფორმის სოციალისტური შეჯიბრებანი, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის სამოსტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ვ. ბაკინმა.** ალაპარაკა რა პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა მშენებლების გმირული შრომაზე, თანამედროვე სამრეწველო გიგანტების აგებაში მათს მონაწილეობაზე, ორატორმა აღნიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობის ზრდის ესოდენ სწრაფ ტემპი არ ყოფილა და არც არის მსოფლიოს არც ერთი ქვეყანაში. ახლა მშენებლები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ენთუზიაზმით ახმარენ საიუბილეო წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი სიმძლავრეების ამოქმედებას.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში მსოფლიოში პირველად კანონმდებლობით გამოცხადებულია ადამიანის საარსებო მნიშვნელოვანი უფლება — ბინის უფლება. ამ უფლების გარანტიას იძლევა მძლავრი სახლთსამშენებლო ინდუსტრია, დიდი სახელმწიფო ასიგნებანი.

დღეევანდელ სესიაზე მე ქვეყნის მუშათა კლასის ახალგაზოდა რაზმის, ლენინური კომკავშირის 36 მილიონიანი არმიის წარმომადგენელი ვარ, თქვა სმოლენსკის სელის კომბინატის მქსოველმა დეპუტატმა **გ. მ. ელისეევამ,** ეს მსურს განვაცხადო, რომ ძოელ საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით ერთსულოვნად და მხურვალედ ვიწონებ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს.

კონსტიტუციის პროექტი გამსჭვალულია პარტიის ზრუნვით მოზარდი თაობის მომავლისათვის, ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის. ჩემთვის, ახალგაზრდა დედისათვის, ეს განსაკუთრებით ძვირფასი და ახლობელია. ყველაზე ნორჩი მოქალაქეებისათვის ზრუნვას მე მიხდა ვეუწოდო ცხოვრების უდიდესი სიძართლე. საბჭოეთის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდა უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოგალეობა, თითოეული საბჭოთა ოჯახის ცხოვრების კანონია.

ორატორმა განაცხადა, რომ კაპიტალისტურ სამყაროში არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების, ქვეყნისა და ოჯახის ინტერესთა ერთიანობა, რადგან ბავშვებისათვის ზრუნვის საძართლიანი და ჰუმანური მოთხოვნები იქ მხოლოდ ცარიელ სიტყვად რჩება. მათს „თავისუფალ სამყაროში“ ბავშვებსაც კი არა აქვთ ბედნიერების უფლება — და ამის შემდეგ ეგრეთ წოდებული უფლებებისა და თავისუფლებების დამცველები ბედავენ რაიმე გვიჩიჩოს, თავს მოგვახვიონ ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემები, რომლებიც სოციალიზმის ქვეყნებში არ არსებობს. საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, გულისწყრომით უცახდებს ამგვარ „კეთილსმსურველებს“: ჩვენ არ გვჭირდება დასავლეთის ცრუ დემოკრატიის ნიმუშები.

სოციალისტური საზოგადოება მშრომელთა საზოგადოებაა, თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ვ. ლომონოსოვმა.** სავსებით კანონზომიერია, რომ საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი განადიდებს მშრომელ ადამიანს. ჩვენს ქვეყანაში გარანტირებულია ადამიანის ყველაზე საარსებო, ყველაზე უცილებელი უფლება — შრომის უფლება. სოციალური ოპტიმიზმი, ხელოვნდელი დღის რწმენა ჩვენი ცხოვრების წვლილ ღირსშესანიშნავი ნიშნებია.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში შრომის უფლება გამდიდრებულია ახალი მნიშვნელობა — პროფესიის, საქმიანობისა და სამუშაოს არჩევის უფლებით. მან ბევრი ყურადღება დაუთმო შრომის პირობების მუდმივი გაუჯობესების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებისა და შეღავათების ზრდის საკითხებს.

სკკპ ასტრახანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **ლ. ა. ბოროდინმა** აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მკაფიოდ გამოვლინდა ადამიანთა მისწრაფება იცხოვრონ და იმუშაონ ქვეყნის ძირითადი კანონის, ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის მოთხოვნების შესაბამისად.

დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ყოველმხრივ ახასიათებს სოციალისტური ცხოვრების წესს. ყოველივე ის, რაც ადამიანს სჭირდება, მისი საქმიანობა და მოთხოვნები, — ყველაფერი გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

ლენინის პარტია, განაცხადა მან, არის მშრომელი ადამიანების ინტერესების, საჭიროებისა და მისწრაფებების მატარებელი და გამტარებელი, ყველა ისტორიული საქმის, ყველა ჩვენი გამარჯვების ალიარებული ხელმძღვანელი, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამიტომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს და მიესალმება იმას, რომ ახალ კონსტიტუციაში შეტანილია დებულება ჩვენი პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების წამყვანი და წარმმართველი ძალის შესახებ.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაზე პატიოსანი ადამიანი გახდა მშრომელი ადამიანი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი, თქვა ლატვიის სსრ ვილიუსის № 2 სამშენებლო ტრესტის ლენინური ორდენოსანი ბრიგადის ბრიგადირმა დეპუტატმა **ჯ. ა. შილეიკისმა.**

ჩვენს ოესპუბლიკაში მომზდარ ყველა ცვლილებას შესანიშნავად აჯანავს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. თითოეული მუსიკალური ტონი დამჯერებლად მოწმობს, რომ კონსტიტუციის მომზადება და შემუშავება ნამდვილად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, განაცხადა საკელისის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი სანანიროს ახალგაზრდობის მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჯ. გარბმა.** კონსტიტუციის პროექტის განხილვის საყოველთაო-სახალხო ხასიათი, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, მართლაც რომ გასაოცარია. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, რომელიც თავს „დემოკრატიულს“ უწოდებენ, მსგავსი რამ არ ხდება.

საბჭოთა ხალხმ ერთსულოვნად უჭერს მხარს ომის საწინააღმდეგო კანონს და სიჯარად აცხადებს, რომ არასდროს არ იქნება აგრესორი, თქვა შემდეგ ჯ. გარბმა. იგი ესწრაფვის საყოველთაო და სრულ განიარაღებას, და ეს მისწრაფება ისახა განსახილველი პროექტის შესწორებებში. ახალი კონსტიტუცია ასახავს საბჭოთა ხალხის 60 წლის მიღწევებს და ერთმანეთს უსადაგებს საზოგადოების შეცვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ეკონომიკურ დონეს და მის საკანონმდებლო სისტემას.

იაპონიის გაზეთი „მაინიჩი“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ლ. ი. ბრეჟნევი აკრიტიკებს ზოგიერთ წინადადებას, რომელთა ავტორები აშკარად აჩქარებულან და არ ითვალისწინებენ, რომ ახალი კონსტიტუცია თუმცა განვითარებული, მაგრამ მაინც სოციალიზმის, და არა კომუნიზმის სახელმწიფოს ძირითადი კანონია. ალაპარაკა რა ასეთ შორსმიმავალ წინადადებებზე, დასძენს გაზეთი, მომხსენებელმა თქვა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა საბჭოთა მოქალაქეებისაგან მიღებული ყველა შენიშვნა.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას უდავოდ ექნება არა მარტო პრაქტიკული, არამედ თეორიული მნიშვნელობაც, მასში განზოგადებულია საბჭოთა ხალხის მთელი ისტორიული მიღწევები, რომელიც ნათელი მომავლის გზას იკვალავს, განაცხადა შრი ლანკის სახალხო მწერალთა ფრონტის გენერალურმა მდივანმა **გუნასფინა ვიტანემ.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ძირითადი კანონი უაღრესად ღრმაშინაარსიანი დოკუმენტია. მასში აისახა როგორც სოციალისტური წყობილების ზოგადი პრინციპები, ისე განვითარებული სოციალიზმის ძირითადი ნიშან-თვისებები, მისი ჰუმანისტური არსი, საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზმი, ყველაზე ფართო უფლებებითა და თავისუფლებებით აღჭურვილი პიროვნების მდგომარეობა.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი მოხსენება საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ ლენინური აზროვნების ნიმუშია, განაცხადა პაანამის გაზეთ **„მატუტანის“** დირექტორმა **რაფაელ ნუნიეს სარსავალიამ.** იგი ადასტურებს, რომ **პლანეტის პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი საიმედო ორიენტირად ექნება ყველა ხალხს, რომლებიც ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იბრძვიან და ბედნიერებისა და სამართლიანობის მოწმენდილი და ნათელი ჰორიზონტებისაკენ მიისწრაფვიან.**

(საკლესი)

ასე აფასებენ

□

დიდებული პერსპექტივა

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, **რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია. უნარელ მშრომელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავი „პოლიტიკური სისტემა“.** მასში ნათქვამია, **რომ სსრ კავშირი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს. ეს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თვისებრივად ახალი უფრო მაღალი საფეხურია, ქვეყნისა, რომელიც 60 წლის წინათ შეიქმნა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო.**

ახალი კონსტიტუციის პროექტი არა მარტო განამტკიცებს საბჭოთა ხალხის მიღწევებს სამოცი წლის მანძილზე, არამედ რეალურ პერსპექტივასაც უსახავს სოციალიზმისა თვის მებრძოლ ყველა ხალხს.

ლაიოშ ჩეტერკი,
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანი.

შთამაგონებელი სტიმული

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში განსაკუთრებით დ[illegible] ბეჭდილია თავები, რომლებ[illegible] უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვ[illegible] შრომის, ბინის, განათლების, ჯან[illegible] თელობის დაცვის, მოხუცებულობ[illegible] მატერიალური უზრუნველყოფ[illegible] უფლებებს.

მე როგორც მწერალი არაერთხ[illegible] ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში. ყოველთვის საშუალება მქონდა [illegible] კუთარი თვალით მენახა საბჭ[illegible] ადამიანთა ბედნიერი, თავისუფ[illegible] და სისხლსავსე ცხოვრება. ახ[illegible] ახალი კონსტიტუციის პროექტს [illegible] განიხილავენ, საბჭოთა ადამიან[illegible] სამართლიანად უკავშირებენ მას [illegible] მუნეზმისაკენ მემდგომი წინსვ[illegible] გეგმებსა და პერსპექტივებს. მ[illegible] მაგალითი იყო და კვლავაც იქ[illegible] შთამაგონებელი სტიმული ჩვენთ[illegible] ვიეტნამელებისათვის, ყველა ხალ[illegible] სთვის, ვინც თავისი ბედნიერი [illegible] ლინდელი დღისათვის იბრძვის.

ნგუენ ვან ბონგი
ვიეტნამელი მწერალ[illegible]

ეპოქალური დოკუმენტი

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ანგარიში

მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები, პრესა, რადიო და ტელევიზია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“ ახასიათებენ როგორც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენას. ამასთანავე ისინი ხაზს უსვამენ, თუ რა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მონაწილეობით შემუშავებული კონსტიტუციის დებულებებს. აღნიშნავენ აგრეთვე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს პირად წვლილს ამ ეპოქალური დოკუმენტის მომზადებაში.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მსოფლიო-ისტორიულ როლის შთამბეჭდავი დადასტურებაა საბჭოეთის ახალი კონსტიტუცია. ამ დოკუმენტს, როგორიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ჩვენი შეგობრისა და ამხანაგის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით არის შემუშავებული, სრულიად სამართლიანად უწოდებენ კომუნისტური მშენებლობის ეპოქის მანიფესტს, — განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა, გეორგ ანინის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ე. ჰონეკერმა.** — **კონსტიტუცია, რომელიც ხალხმა განხილა და ხალხის ნებას განოხატავს, წითელი ოქტომბრის უდიდეს მიღწევათა განსახიერებაა. იგი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ ადამიანის დემოკრატია, თავისუფლება და ღირსება მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს არის რეალურად გარანტირებული და შეიძლება ფართოდ ხორციელდებოდეს“.**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება ახლა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას, — წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“. — ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საბჭოთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს.** ეს ამის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხამდვილად ლენინურად წარმართავს მასების ენერგიას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად“.

საბჭოთა ადამიანების მიერ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და მოწონება ნათლად მოწმობს, რომ ხალხი ფართოდ აღიარებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღვაწლს ამ უთვალსაჩინოესი დოკუმენტის მომზადებაში, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, განაცხადა ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ **ფუმი ვონგვიჩიტმა.** ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს იმ უდიდეს პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც საბჭოეთში მოხდა მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან განვლილ წლების მანძილზე. **იგი არა მარტო ამკვიდრებს საკანონმდებლო წესით საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში მიღწეულ პროგრესს, არამედ სახავს კიდევ საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ფართო, მეცნიერულად დასაბუთებულ პერსპექტივებს.**

დიდი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდა ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას ამერიკის საზოგადოებრიობა. ეს დოკუმენტი დამაჯერებლად მოწმობს, რომ კონსტიტუციის მომზადება და შემუშავება ხამდვილად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, განაცხადა საკელისის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი სანანიროს ახალგაზრდობის მოძრაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჯ. გარბმა. კონსტიტუციის პროექტის განხილვის საყოველთაო-სახალხო ხასიათი, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, მართლაც რომ გასაოცარია. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, რომელიც თავს „დემოკრატიულს“ უწოდებენ, მსგავსი რამ არ ხდება.**

**საბჭოთა ხალხმ ერთსულოვნად უჭერს მხარს ომის საწინააღმდეგო კანონს და სი

საკლესიო
მსოფლიოს ამბები
ტელეტაიპი გადმოგვცემს

გენერალური ასამბლეის 32-ე სესია

დაძაბულობის შენელება დროის მოთხოვნაა

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკ-დესი). საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებასა და განმტკიცებას და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღების ალაგმასა და განიარაღებას, კვლავ მთავარი თემაა ბევრი დელეგატის გამოსვლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXII სესიაზე. საბჭოთა ინიციატივები შეესაბამებიან პოლიტიკური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების, პოლიტიკური დაძაბულობის შენელების საბჭოდრო დაძაბულობის შენელებით შევსების კეთილმობილური მიზნების — ასეთია ბევრი სახელმწიფოს დელეგაციების აზრი.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი განვითარება და განმტკიცება, მიანიჭოს მას შეუქცევადი სასიათი, იმსნას კაცობრიობა თერმოატომური ომის საფრთხისაგან, — განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. ძნოუპქმა. — აი რატომ არის, რომ ჩეხოსლოვაკიამ მხურვალედ მოიწონა და მთლიანად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ატომური იარაღის გამოცდის საყოველთაო და მთლიან შეწყვეტას. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ ინდოეთის ოკეანე გადაიქცეს მშვიდობის ზონად, ძოისპოს იქ უცხოეთის ხამხედრო ბაზები, რომლებიც, როგორც მან თქვა, შეიძლება აგრესიული მიზნებით გამოიყენონ.

ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ დროული და აქტიურია ახალი საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას და განმტკიცებას.

„კომუნისტის“ ინტერვიუ



აკადემიკოსი დ. ლიხაჩოვი:

შეხვედრები ... სასარგებლო იყო

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა (პუშკინის სახლი. ლენინგრადი) თბილისში გამართეს სიმპოზიუმი — „ძველი რუსული ლიტერატურის სამი დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ლენინგრადელი და თბილისელი ძეცნიერი ფილოლოგები. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა სიმპოზიუმის ერთ-ერთ მონაწილეს, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, რუსული ლიტერატურის დიდ სპეციალისტს აკადემიკოს დ. ს. ლიხაჩოვს. ქვემოთ ვბეჭდავთ მეცნიერის ნაუბარს.

— საქართველოში ჩვენი კოლეგების ჩამოსვლის მიზანი იყო მეცნიერული ნიადაგი მოგვემზადებინა ძველ რუსულ მწერლობასთან და კულტურასთან მომიჯნავე კულტურულ სამყაროთა მთლიანობაში შესწავლისათვის.

ძველი რუსული კულტურისათვის ამ მხრივ სიკეთეები მნიშვნელობისაა დასავლეთით სლავური სამყარო და ბიზანტია, სამხრეთით — უძველესი ქრისტიანული კულტურის „ჯერა — საქართველო.

ძველი რუსული მწერლობის ზოგიერთი კანონზომიერებისა და თავისებურების გაგაზრებაში ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა ძალზე დიდია.

სამწუხაროდ, ამ დიდ საქმეში ხელს გვიშლის ქართული კულტურის საძყაროს სუსტი ცოდნა, რაც ჩვენი მხრივ ქართული ენის უცოდინარობის შედეგია. ეს ხარვეზი ადვე უნდა გამოსწორებულიყო. იმედი მაქვს, რომ ჩვენში აღმოჩნდებიან ახალგაზრდა ფილოლოგები, რომლებიც საკანგებოდ შეისწავლიან ქართულ ენასა და კულტურას ამ თვალსაზრისით.

ამ მიზნით, ეფიქრობთ, შეკარჩითან ლენინგრადის ახლად კურსდამთავრებულები და გამოვგზავნით სტაჟირებისათვის საქართველოში. ამ ახალგაზრდების მიდრეკილების მიხედვით ისინი სტაჟირებას გაიელიან ან თბილისის უნივერსიტეტში, ან ლიტერატურის ინსტიტუტში, ან ხელნაწერთა ინსტიტუტში. სწორედ აქ მუშაობენ აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, პროფესორები ლ. მენაბდე, ელ. მეტრეველი და სხვები.

ეს მოხდება იმის შემდეგ, რაც ისინი ლენინგრადშივე სერიოზულად შეისწავლიან ქართულ ენას. ამის შემდეგ, ჩვენ ოფრო ორმად და სერიოზულად შეიარაღებით საერთო თემის დამუშავებას.

ძველ ქართულ და რუსულ კულტურათა შესწავლის საეროში მეცნიერულ ძიებათა ეფექტიანი ასპარეზია გადაშლილი. ისეთი საშუალებისათვის არამც და არამც არ უნდა შემოვიფარგლოთ შემთხვევითი და წვრილმანი საკითხებით.

ძველი ქართული და რუსული ლიტერატურების ურთიერთობის შესწავლის საკითხს ახალმა მკვლევარებმა მთელი თავიანთი ცხოვრება უნდა მეიძღვნან, თუნდაც ისე, როგორც ეს პროფესორმა ვ. შალუტმა გვიჩვენა.

თანამედროვე კულტურის დონე და სულიერი ამოცანები მასტიმულირებელი საწყისი უნდა იყოს ძველ საძყაროში შეჭრისათვის. ეს ამოცანა კი სრულფასოვნად მაშინ გადაწყდება, როდესაც თანამედროვე მკვლევარს კარგად ექნება გამახვილებული ისტორიზმის გრძნობა და ისტორიული მიდგომის ალეო. ისტორია ხომ დედაა ჭეშმარიტებისა!

და „ბიდვ ერთი... ძველი ქართული და რუსული კულტურის ხეზეა თანამედროვე მეცნიერული აზროვნების დონეზე მხოლოდ მას შემდეგ იქნება სრულფასოვანი. როდესაც გავარკვევთ ყველა დროის „კულტურის საერთო მნიშვნელს, კერძოდ, ადამიანის, პიროვნების ხვედრისა და რაობის პრობლემას. თუ პიროვნების „ინკიფიცია არ გავარკვეთეთ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევიმეშვებთ წარმოდგენას „კულტურის ვერცერთი პერიოდის ენასა და მხატვრული სტილის თავისებურებაზე.

ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო საქართველოში არა მარტო ძველ „ოლეგებთან შეხვედრა, არამედ მეცნიერთა ახალი თაობის გაცნობაც. საკმარისია დავასახელო რ. სირაძე, გ. ფარულავა, მ. ვიგანიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, გ. გაჩეჩილაძე და სხვ.

ჩემი „ყურადღება მიიქცია რ. სირაძის უკანასკნელმა გამოკვლევებმა, რომლებიც ძველი ქართული მწერლობისა და ესთეტიკის ფართოდ განხილვის ცდად მომაჩნია.

ჩემთვის სასიამოვნო სიახლე იყო იმის გაგება, რომ საქართველოშიც მუშავდება ისეთი სერიოზული თანამედროვე მეცნიერული პრობლემა. ბაროკო, როგორც თავის ნაშრომებში გ. გაჩეჩილაძემ გვიჩვენა, მოიცავს ქართული კულტურის საშყაროსაც. და არა მხოლოდ ქართულს.

ეს სავსებით „კანონზომიერია, რადგან „რენესანსის შემდგომი ევროპის, ქართული „კულტურაც საშყაროს ესთეტიკური შეგრძნების ამ „კრიზისის ხასიათებრივი, რომელიც ბაროკოსთვისაა ტიპიური. [illegible] ინგლისის [illegible] „ლიტერატურის“ სათაურ[illegible] ესთეტიკისთვის ტიპიურ ანტინომიას.

ბაროკოს პრობლემას მნიშვნელობა აქვს ყველა ევროპული ლიტერატურისათვის და უდავოდ ადასტურებს, რომ ქართული ლიტერატურა ვითარდებოდა ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურისა და „კულტურის ფართო ნაკადში. გარდა ამისა ქართული ბაროკოს პრობლემას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს და საშოალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ „ბაროკობის ესთეტიკური განვითარების ბუნაგენი.

თბილისის სიმპოზიუმმა მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩაიარა. ახლა, როდესაც სიმპოზიუმი უკვე დამთავრდა, ქართველი და რუსი „ოლეგები ერთმანეთს ეითხოვენით აქ აღძრული საკითხებისა და დაპირებების შემდგომი გაღრმავების სულისკვეთებით.

დასასრულ აკადემიკოსმა დ. ლიხაჩოვმა ჩვენს კორესპონდენტს უთხრა:

„სულითა და გულით ვუსურვებ „კომუნისტის“ მკითხველებს დიდ ბედნიერებას, რომელსაც სიკეთე და მთელი ხალხის საკეთილდღეო თავდადებული შრომა იძლევა“.

სოციალიზმის ქვეყნებში

გდრ: რესპუბლიკის დღე

შვიდ ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ რესპუბლიკის დღეს. 28 წლის წინათ მსოფლიომ შეიტყო გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დაბადება.

განვლილი თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულმა თვალსაჩინო წარმატებებმა დიდი ავტორიტეტი მოუპოვა რესპუბლიკას საერთაშორისო სარბიელზე. მას ამყარად ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 120 ქვეყანასთან. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ფართო გზაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მუდამ მხარში ედგა საბჭოთა კავშირი. რესპუბლიკის გამოცხადების 28-ე წლისთავი და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი ორი მომმე ხალხის დღესასწაულია — ასე ფიქრობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. 1917 წელი რომ არა, არც 1949 წელი იქნებოდა, ამბობენ ისინი.

სურათებზე: (მარჯვნივ) საბჭოთა ტურისტები ბერლინის ქუჩებში. (მარცხნივ) დედაქალაქი ერთ-ერთ ახალ მიკრორაიონში.

საკლესიო ფოტო.

ოლიმპიადა ბელგრადში

ბელგრადი, 5 ოქტომბერი. (საკ-დესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ბროზ ტიტომ მიიღო იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ე. ბერლინგუერი, რომელიც აქ ყოფილა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოწვეთ.

როგორც ტანიუგის საინფორმაციო სააგენტო აცნობებს, მეგობრული საუბრის ფარგლებში ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საკითხებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო პრობლემებს, მდგომარეობას საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და იტალიის კომპარტიის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის თანამშრომლობის საკითხებზე.

მდგომარეობა განგლადეშში

დაკა, 5 ოქტომბერი. (საკ-დესი). ბანგლადეშის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება გადატრიალების იმ წარუმატებელი ცდის გამო, რომელიც გასულ კვირაში მოახდინა უმცროსი ოფიცერთა ჯგუფმა.

„ეს ამბები, — ნათქვამია განცხადებაში, — მოხდა შინაური რეაქციისა და იმპერიალისტური წრეების მხრივ წაქეზების შედეგად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს“.

კომპარტიამ მჭიდრო შეეკავშირებისა და ერთიანობისაკენ მოუწოდა ქვეყნის მთელ პატრიოტულ ძალებს, რომლებიც ერთგული დამოუკიდებლობის საფარაჯზე დგანან.

დედაქალაქსა და მთელ რიგ დიდ ქალაქებში გაიმართა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლითაც მონაწილეებმა მოითხოვეს მკაცრად დასჯონ გადატრიალების წარუმატებელი ცდის მოთაფენი. მარტო უდიდეს საზღვაო ნავსადგურ ჩიტაგონგში მუშების მასობრივ დემონსტრაციებში, რომლებიც პროფკავშირული გაერთიანების მუშათა ეროვნული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო, მონაწილეობა მიიღო 70 ათასმა მეტმა კაცმა.

დაკაში ქვეყნის პრეზიდენტის ზიაურ რაჰმანის თავმჯდომარეობით გაიმართა ბანგლადეშის საკონსულტაციო საბჭოს (მთავრობის) სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ საჭიროა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება.

განაჩენი გადასინჯეს

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოს ფედერალურმა მოსამართლემ ჯ. სირიკამ მიიღო გადაწყვეტილება შეუმციროს პატიმრობის ვადები „უოტერგეიტის სკანდალის“ მთავარ მონაწილეებს — იუსტიციის ყოფილ მინისტრს ჯ. მიტჩელსა და პრეზიდენტ ნიქსონის ყოფილ თანაშემწეებს ჯ. ერლიხმანსა და რ. ჰოლდემანს.

„უოტერგეიტის სკანდალი“ რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური კორუფციის, ინტრიგებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა, მოხდა 1972 წელს, როცა „უცნობ პირთა“ ჯგუფმა სცადა მისაყურადებელი მოწყობილობა დაედგა დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში. მხილების შედეგად პრეზიდენტი რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მიტჩელს, ერლიხმანსა და ჰოლდემანს სასამართლომ მიუსაჯა ორნახევრიდან 8 წლამდე პატიმრობა. ახლა კი ჯ. სირიკის გადაწყვეტილებით ეს ვადები შემცირებულია 1-4 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერლიხმანი შეიძლება გათავისუფლონ უკვე ოქტომბრის დამლევს, ხოლო მიტჩელი და ჰოლდმანი 1978 წლის ივნისში.



ოლიმპიადა ბელგრადში

ბელგრადი, 5 ოქტომბერი. (საკ-დესი). ბანგლადეშის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება გადატრიალების იმ წარუმატებელი ცდის გამო, რომელიც გასულ კვირაში მოახდინა უმცროსი ოფიცერთა ჯგუფმა.

„ეს ამბები, — ნათქვამია განცხადებაში, — მოხდა შინაური რეაქციისა და იმპერიალისტური წრეების მხრივ წაქეზების შედეგად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ჩვენს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს“.

კომპარტიამ მჭიდრო შეეკავშირებისა და ერთიანობისაკენ მოუწოდა ქვეყნის მთელ პატრიოტულ ძალებს, რომლებიც ერთგული დამოუკიდებლობის საფარაჯზე დგანან.

დედაქალაქსა და მთელ რიგ დიდ ქალაქებში გაიმართა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლითაც მონაწილეებმა მოითხოვეს მკაცრად დასჯონ გადატრიალების წარუმატებელი ცდის მოთაფენი. მარტო უდიდეს საზღვაო ნავსადგურ ჩიტაგონგში მუშების მასობრივ დემონსტრაციებში, რომლებიც პროფკავშირული გაერთიანების მუშათა ეროვნული კომიტეს ინიციატივით მოეწყო, მონაწილეობა მიიღო 70 ათასმა მეტმა კაცმა.

დაკაში ქვეყნის პრეზიდენტის ზიაურ რაჰმანის თავმჯდომარეობით გაიმართა ბანგლადეშის საკონსულტაციო საბჭოს (მთავრობის) სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ საჭიროა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი გ ა დ ა ს ი ნ ჯ ს ე ს

ვაშინგტონი, 5 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოს ფედერალურმა მოსამართლემ ჯ. სირიკამ მიიღო გადაწყვეტილება შეუმციროს პატიმრობის ვადები „უოტერგეიტის სკანდალის“ მთავარ მონაწილეებს — იუსტიციის ყოფილ მინისტრს ჯ. მიტჩელსა და პრეზიდენტ ნიქსონის ყოფილ თანაშემწეებს ჯ. ერლიხმანსა და რ. ჰოლდემანს.

„უოტერგეიტის სკანდალი“ რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური კორუფციის, ინტრიგებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა, მოხდა 1972 წელს, როცა „უცნობ პირთა“ ჯგუფმა სცადა მისაყურადებელი მოწყობილობა დაედგა დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში. მხილების შედეგად პრეზიდენტი რ. ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მიტჩელს, ერლიხმანსა და ჰოლდემანს სასამართლომ მიუსაჯა ორნახევრიდან 8 წლამდე პატიმრობა. ახლა კი ჯ. სირიკის გადაწყვეტილებით ეს ვადები შემცირებულია 1-4 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერლიხმანი შეიძლება გათავისუფლონ უკვე ოქტომბრის დამლევს, ხოლო მიტჩელი და ჰოლდმანი 1978 წლის ივნისში.

ჰრეტენდენტთა ნახევარფინალური

დანებდა თამაშის გასუასლებლად

ანგარიშია 6:5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ

მეთერთმეტე პარტიაში ჩიბურდანიძემ ძველინდურ დაცვას მიმართა, რომელიც მას კარგად აქვს შესწავლილი. მეტოქეებმა გაითამაშეს ვარიანტი, რომელსაც ყველა თეორიულ სახელმძღვანელოში შეხვდებთ.

შუა პარტიაში ჩიბურდანიძემ ძლიერად ითამაშა და აშკარად აჯობა მეტოქეს. ლაზიერების გაცვლის შემდეგ იგი ეტლით შეიჭრა ლაზიერის ფრთაზე და მთლიანად შებოჭა მეტოქის ძალები. შემდეგ მან წამოიწყო მანევრი მეფით, რომელიც გაბედულად გადაისროლა მეტოქის ბანაკში. ახმილოვსკაია მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან წააგო პაიკი და ამასთან ერთად მეფეც დაუცველი აღმოჩნდა. ჩიბურდანიძე ბოლომდე ძლიერად და თანმიმდევრულად თამაშობდა, ყველაფერ ამას მოჰყვა თეთრების განლაგების შემდგომი დასუსტება და მან პარტია სავსებით მოსაგებ პოზიციაში გადადო.

აი ეს პარტიაც:

ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე

ძველინდური დაცვა

1. d4 ∂f6 2. ∂f3 g6 3. g3 ¿g7 4. ¿g2 0-0 5. 0-0 d6 6. c4 ∂c6 7. d5 ∂a5 8. ∂fd2 c5 9. ∂c3 e5 10. a3 b6 11. b4 ∂b7 12. ¿ab1 ∂g4 13. h3 ∂h6 14. ∂de4 f6 15. ¿d2 ∂f7 16. bc ∂:c5 17. ∂:c5 bc 18. e4 ¿h6 19. ¿:h6 ∂:h6 20. ¢a4 ∂f7 21. ∂b5 f5 22. ef ¿:f5 23. ¢b2 ¢d7 24. ∂c3 ¢:a4 25. ∂:a4 ¿ab8 26. ¿a1 ¿d7 27. ¿:b8 ¿:b8 28. ∂c3 ¢b3 29. ∂d1 ∂g7 30. ∂e3 ∂f6 31. ¿a2 ¿f5 32. h4 ∂h6 33. ¿f3 ¿b1 34. ¿a1 ∂f5 35. ¿d1 ¢b2 36. ¿a4 ∂:e3 37. fe ∂g5 38. ¿b7+ ∂g4 39. a4 ¿d3 40. a5 ∂g:e3 აქ პარტია გადადო.

ბ. ბამრეკელი.

ვ. მოგლიძის მემორიალზე

ბუენოს ვ. გოგლიძის მემორიალის მეორე ტურში რადვემა მოუგო გურგენიძეს, ზაინიკამ — როდრიგესს, სეკეიმ — მნაცაკანიანს, გიპსლისმა შავებით — კაიმაუოს. დანარჩენი პარტიები გადადო.

ჰოკეი

მეორე ჯერის სიურპრიზები

დაიწყო სსრ კავშირის უძლიერეს ჰოკეისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. და თუ გათამაშების პირველი დღე ნორმალურად დამთავდა, მეორე ტურში პირველი სუსაცეები მოდა — საკუთარ მოედანზე ვოსკრესენსკია „ხიმიკმ“ დაამარცხა მოისხანე მეტოქე, ქვეყნის მოგალგზის ჩემპიონი — ცსკა. მატჩის ანგარიშია 3:2 (1:1, 1:0, 1:1). მოსკოვში კი სტუმრებმა — სვერდლოვსკის „ავტომობილისტმა“ პოკეიტენმა, ოთმ ეტაკეან, გაანადგურეს ორანკალი სახელგანთქმული „სპარტაკი“ — 9:1 (4:0, 2:0, 3:1).

ტენვარჯიში

შაკოვნიკოვა და ბარაკლოვი

მინსკში სსრ კავშირის თასზე საკალდებულო პროგრამების შესრულეკის შემდეგ დაწინაურდნენ როტაციული 16 წლის ოლეგ ნატალია შაპოშნიკოვა და ევოოპის ჩემპიონი მოსკოველი ვლადიმერ ბარაკლოვი. შაპოშნიკოვამ 36,95 ქულა დააგროვა, ბარაკლოვმა ექვს სახეობაში — 55,55 ქულა.

კალათბურთი

ვარშავის ტურნირზე

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა წარმატებით დაიწყეს სოციალისტური ქვეყნების მონათესავე სპორტული ორგანიზაციების გუნდების ტურნირი, რომელიც ვარშავაში მიმდინარეობს.

სტარტზე თბილისელებმა დამამარცხეს „ლეგსკი-სპარტაკი“ (სოფია) — 112:92 (51:39) და ბუქარესტის „დინამო“ — 83:82 (27:40). ორივე შეხვედრაში თავი გამოიჩინეს გუნდის ლიდერებმა — ქორქიამ და დერიუგინმა. პირველ მატჩში მათ აქტივებია შესაბამისად 28 და 22 ქულა, მეორეში — 24 და 23.

განსაკუთრებით დრამატულად წარიმართა ასპარეზობა ბუქარესტის დინამოელებთან, რომლებიც ერთხელ 15 ქულითაც კი იყვნენ წინ, მაგრამ თბილისელებმა შეძლეს არა მარტო ხელთ ეგდოთ ინიციატივა და ბოლო წუთებზე გაეთანაბრებინათ ანგარიში, არამედ მოეგოთ კიდეც.

ტურნირში გამოდიან აგრეთვე პოლონეთის გუნდები — „ვიბერეი“ და „ვისლა“, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის „რუდე გვეზდა“.

ასუჯრელიან დაფებთან

სოხუმში დაიწყო საბჭოთა კავშირის მესამე ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში ქალთა შორის, რომელშიც მონაწილეობს ქვეყნის 16 უძლიერესი ოსტატი. ოქროს medალებსა და საპრიზო ადგილებს ერთმანეთს ეცილება მსოფლიოს ჩემპიონი მოსკოველი ე. მიხაილოვსკაია, სსრ კავშირის ჩემპიონი ვილნიუსელი ლ. ტრაკინა და სხვა წამყვანი ოსტატები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავს საქართველოს ჩემპიონი, 15 წლის მ. მოსიძე. გაიმართა პირველი ტური. მსოფლიოს ჩემპიონმა ე. მიხაილოვსკაიამ ფრედ დაამთავრა ზეზეოდრა ლენინგრადელ ი. სპასკაიასთან, მ. მოსიძე ყაიმზე შეუთანხმდა ვილნიუსელ ქ. სოკოლაუსკაიტეს, ქვეყნის ჩემპიონმა ლ. ტრაკინამ დაამარცხა გორკელი ა. ლაზარევა, რიგელმა რ. სვირეფსკამ — ლენინგრადელი გ. კუზნეცოვა.

აპატიეს და...

რეგულარულ ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეთექვსმეტედფინალური პირველ მატჩში „სენტ-ეტიენთან“ ინგლისის „მანჩესტერ-იუნაიტედის“ ასპარეზობის დროს საფრანგეთში ჩასულმა ბრიტანელმა ქომაგებმა ისე იხეიფეს, რომ უეფას ხელმძღვანელობამ გთამაშებიდან გარიცხა მათი კლუბი.

მაგრამ შემდეგ მან დისკვალიფიკაცია შეცვალა ფულადი ჯარიმით და გადაწყვეტილებით — საპასუხო მატჩი გამართულიყო მანჩესტერიდან ხულ ცოტა 200 კილომეტრის დაშორებით. ასეთი მოედანიც გამოინახა — ქალაქ პლიმუტში.

საპასუხო მატჩი მოიგო „მანჩესტერ-იუნაიტედმა“ — 2:0 (1:0) და მერვედფინალში გავიდა.

რედაქტორი

დ. მეჯლიშვილი.

1966 წლის სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ქალაქ კიევში 1977 წლის 30 სექტემბერს გამართული 90-ე მოგებათა ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

მოგება ხვდა სესხის სამოცდაცხრაგე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა მანეთობით
100159	1—50	40	136156	21*)	500	166010	39*)	2500
100781	1—50	40	136498	36*)	500	166637	1—50	40
102441	1—50	40	136708	20*)	2500	166904	03*)	500
102869	1—50	40	137253	03*)	2500	168407	08*)	5000
102893	25*)	500	138152	1—50	40	168885	07*)	500
103017	50*)	500	138768	18*)	500	170038	29*)	500
103692	16*)	500	138787	06*)	500	170152	34*)	500
104362	1—50	40	138879	1—50	100	170334	38*)	500
105414	07*)	500	138883	02*)	500	171309	45*)	500
105486	38*)	1000	139558	1—50	40	171417	50*)	500
106958	25*)	500	139713	06*)	500	171500	1—50	40
107965	1—50	40	141434	1—50	100	172138	34*)	1000
108258	41*)	500	142120	01*)	500	172253	1—50	40
108933	08*)	500	142193	1—50	40	172394	07*)	500
109248	33*)	500	142629	1—50	100	174152	1—50	100
109413	21*)	500	143545	50*)	500	175584	06*)	1000
109721	1—50	40	143729	1—50	40	175966	1—50	40
109813	36*)	500	145207	1—50	40	177282	1—50	40
110281	17*)	500	145653	50*)	500	177714	01*)	500
110410	1—50	100	146906	19*)	500	177756	1—50	100
110448	33*)	500	147209	43*)	500	178699	36*)	500
110587	30*)	500	147375	13*)	500	180119	44*)	500
110979	06*)	500	147684	02*)	500	180224	28*)	500
111521	1—50	100	148040	24*)	500	180453	21*)	500
111856	02*)	500	148554	1—50	40	180459	1—50	40
112510	49*)	1000	149198	18*)	500	180901	41*)	1000
112983	1—50	100	151368	36*)	500	181128	29*)	500
113418	08*)	500	151426	05*)	1000	181686	37*)	500
114808	1—50	100	151775	47*)	500	181888	1—50	40
114986	43*)	1000	151854	1—50	40	182842	31*)	1000
115521	20*)	500	152483	11*)	500	183340	19*)	500
115585	1—50	40	153828	35*)	500	183880	45*)	2500
116430	50*)	500	154047	13*)	500	187222	23*)	500
116967	1—50	100	154101	1—50	40	187827	26*)	1000
118600	24*)	500	154253	45*)	500	188139	1—50	100
119649	47*)	1000	154488	25*)	1000	188585	31*)	1000
119904	30*)	500	154730	42*)	500	188645	1—50	40
120205	20*)	500	155495	45*)	500	188794	15*)	1000
121054	1—50	40	155654	05*)	500	189124	31*)	2500
121320	32*)	500	156267	29*)	500	189773	25*)	500
121556	19*)	500	156277	23*)	500	191056	04*)	500
121899	48*)	500	156932	01*)	500	191391	06*)	500
122903	44*)	500	157161	21*)	500	191455	1—50	40
124430	48*)	500	157438	03*)	1000	192110	1—50	40
125373	21*)	1000	157597	1—50	40	192739	44*)	1000
127266	15*)	1000	157773	1—50	100	193809	06*)	500
127272	14*)	500	158266	18*)	500	194341	48*)	500
127552	1—50	40	158433	03*)	500	194871	11*)	500
127695	11*)	500	158870	1—50	40	195757	26*)	1000
127887	01*)	500	158894	25*)	500	195968	23*)	500
128825	27*)	500	160430	27*)	500	196412	1—50	40
128834	43*)	500	162540	1—50	100	196909	1—50	40
129252	1—50	40	162635	39*)	500	197133	30*)	500
129704	09*)	1000	162851	31*)	500	197203	35*)	500
130084	36*)	500	163075	28*)	500	197728	19*)	500
130748	1—50	100	163360	47*)	500	197809	33*)	500
131024	35*)	500	164030	1—50	40	198111	39*)	500
131995	32*)	500	164232	13*)	500	198160	37*)	5000
132123	1—50	40	164392	04*)	500	198490	09*)	500
133468	1—50	40	164837	04*)	500	198554	1—50	40
134027	1—50	100	164942	42*)	500	198809	45*)	500
134780	19*)	500	165036	14*)	1000	199429	14*)	500
135770	36*)	500	165068	41*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანომრნენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიანი ობლიგაციებიდან გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომელითაც შემნახველი საელოიები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ე. ფარლოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პროსპ. № 2).



ფეხბურთი

8 და 9 ოქტომბერს

საქართველოს ალკ თბილისის საქალაქო კომ